ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ37. 3723167001**

თარიღი:**16/06/2023**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული და საკრებულოსათვის უსასყიდლოდ, უვადო სარგებლობაში გადმოცემული ავტოსატრანსპორტო საშუალების მიმაგრების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეებზე გამოყოფილი საავტომობილო საწვავის ხარჯების განაწილების თაობაზე“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2022 წლის 28 დეკემბრის №37.37223622 ბრძანების და ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის ავტომანქანა ,,Kia Seltos”-ის დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 15 ივნისის №36.36231666 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული და საკრებულოსათვის უსასყიდლოდ, უვადო სარგებლობაში გადმოცემული ავტოსატრანსპორტო საშუალება ,,Kia Seltos“ (სახელმწიფო ნომრით BT-070-TT) მიემაგროს და მატერიალურ პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მძღოლი ამირან გიორგაძე.

2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებას, ამ ბრძანების შესრულების მიზნით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

3. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

5. ბრძანება ძალაშია მხარეთა გაცნობისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი